საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 200,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 187

პარასკევი, აპრილის 7
1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ამა წლის აპრილის 12-ს დანიშნულია

სრულიადსა ქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

საგანგებო სესია

საგანგებო სესიის დღიურ წესრიგს შეადგენს:

1. ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაცია.
2. დამტკიცება დებულებისა ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ.
3. პროექტი დებულებისა მიწად-მოწყობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით, პროექტი დეკრეტისა მიწად-მოწყობის და მიწად-სარგებლობის ნიადაგზე აღძრული დავების განხილვის წესის შესახებ.
4. მოხსენება სიმშილობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი თ. კალანდაძე.

„ქიმერიონი"
(მწერლებისა და პოეტების კაფე-კლუბი)
ყოველ დღე
1 საათიდან 6 საათამდე
სადილები 70,000 მანეთიდან.
და
საღამოს 7 საათიდან 1 საათამდე.
ვახშმები.
სიმებიანი ორკესტრი სლუცკის.
ფასები ყველაფერზე დაკლებულია.

განცხადება
აპრილის შუა რიცხვებიდან გამოვა ორკვირეული გამოცემა ქართულ ენაზე
„ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრება"
ფოსტელსახკომისარიატთან არსებულ სარედაქციო კოლეგიის მიერ ჟურნალში მოთავსებული იქნება სხვა და სხვა განკარგულებანი და მოქმედებანი ფოსტელ სახკომისარიატის და ფოსტელპროკავშირის ცენტრალურ გამგეობისა.
პროვინციელ კორრესპონდენტებს შეუძლიან აგზავნონ წერილები ფოსტელცხოვრებიდან, აგრეთვე ყოველგვარი მასალა შემდეგი მისამართით: ფოსტელსახკომისარიატი, სარედაქციო კოლეგიას.

გენუა და ამერიკის პოლიტიკა

ამერიკის პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს აქტიური მონაწილეობა არ მიიღონ გენუას კონფერენციაზე და მხოლოდ მეთვალყურე წარმომადგენელი გაგზავნონ იქ. ამ გარემოებას მრავალი ხსნის ამერიკის ძველი კონტინენტალური პოლიტიკით, მონროეს მიერ შემუშავებულ სისტემით, რომლის შინაარსი იმაში გამოიხატებოდა, რომ ამერიკა თავისი შინაური საქმეებით დაკმაყოფილებულიყო და ხელი აეღო სერიოზულ საგარეო პოლიტიკაზე. მაგრამ მონროეს სისტემა დღეს სრულებით არ შეესაბამება ამერიკის მდგომარეობასა და მის ინტერესებს. ეს სისტემა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში შემუშავდა, როდესაც ამერიკა ჯერ კიდევ სუსტ აგრარულს მხარეს წარმოადგენდა, არ იყო განვითარებული დიდი ინდუსტრია და შინაური ცხოვრება მოუწესრიგებელი იყო, რის გამო მას არ ჰქონდა საშუალება გამოსულიყო საერთაშორისო პოლიტიკის სარბიელზე. ამერიკის ეს შინაური და საგარეო მდგომარეობა საერთოდ შეიცვალა მეოცე საუკუნისათვის და დღეს ამერიკა ერთს დიდ იმპერიალისტურს სახელმწიფოს წარმოადგენს მსოფლიოში, რომელსაც საკმაოდ მოზრდილი ინტერესები აქვს საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში.

ამერიკის დღევანდელი დამოკიდებულება ევროპისადმი შეუძლებელია აიხსნას მონროეს სისტემით. ამ პოლიტიკას სულ სხვა მიზნები უდევს სარჩულად, რომელიც სწორედ საერთაშორისო მდგომარეობიდან და ამერიკის საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარეობს.

საერთაშორისო ომმა უდიდესი გამარჯვება მიანიჭა ამერიკას. ომის რეზულტატით გაიმარჯვა სამმა სახელმწიფომ: ამერიკამ მსოფლიო მაშტაბში, ინგლისმა ევროპაში და იაპონიამ შორეულ აღმოსავლეთში.

ამერიკის კაპიტალი და მისი ეკონომიური ინტერესები ვეღარ ეტევა ამერიკის კონტინენტზე; იგი ახალი ბაზრების და ახალი საექსპლოატაციო ტერიტორიების ძიებაშია. ამიტომ მისი პოლიტიკა უაღრესად იმპერიალისტური და აგრესიულია... არც ერთი სახელმწიფო არ არის დღეს საერთაშორისო პოლიტიკით დაინტერესებული ისე, როგორც ამერიკა, რომელსაც სურს მსოფლიოს ახალი გადაყოფა მისდა სასარგებლოდ.

როგორც აღვნიშნეთ წარსულში ამერიკას არ ჰქონდა კოლონიები და არ აწარმოებდა საერთაშორისო პოლიტიკას; მონროეს სისტემა ამ ნიადაგზედ იყო აღმოცენებული. მაგრამ ამ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში მისი პირობები არსებითად შეიცვალა: მოხდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომლის ინტერესები მოითხოვს საერთაშორისო ურთიერთობას. ამერიკის ექსპორტი გამზადებულ საქარხნო საქონლებსა დიდად აჭარბებს სასურსათო და სასოფლო პროდუქტების გატანას. გარდა ამისა ამერიკის ექსპორტი დიდად მეტი არის იმპორტზე. საერთაშორისო ომმა ამერიკის მრეწველობასა და მის ეკონომიური აღორძინების საქმეს დიდათ შეუწყო ხელი.

ომამდე ამერიკა დავალიანებული იყო ევროპისაგან. ომის პროცესში მდგომარეობა იმდენად შეიცვალა, რომ დებიტორიდან იგი მსოფლიოს კრედიტორი შეიქმნა. არ არის არც ერთი სახელმწიფო დედამიწის ზურგზე დარჩენილი, რომელიც არ იყოს დავალიანებული ამერიკისაგან. ამერიკის კაპიტალი შეიჭრა სესხის სახით მსოფლიოს ყოველ მხარეში და საერთაშორისო მეურნეობის სფეროში დიდ როლს თამაშობს. ევროპის მოკავშირეთა ვალი საერთოდ აღწევს 3-მეოთხედს მილიარდ გირვანქა სტერლინგს. აქედან ინგლისის ვალად ირიცხება 4 მილიარდი დოლარი და საფრანგეთის დაახლოვებით 3-ნახევარი მილიარდი.

ამ გარემოებასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკამ ომის დროს შეზიდა თავის სამფლობელოში თითქმის ნახევარზე მეტი ოქროს ფონდისა. 1920 წ. ოქროს ფონდი, რომელიც ეკუთვნოდა სახელმწიფოებსა და საემისიო ბანკებს მთელს მსოფლიოში უდრიდა 1501,3 მილიონ გირვანქა სტერლინგს. აქედან არა ნაკლები 853,4 მილიონისა ე. ი. ნახევარზე მეტი, ამერიკის ხელში არის მოქცეული.

ამერიკა მსოფლიო მრეწველობის გეგემონის როლში გამოდის; მის ხელში არის დაგროვილი 70 პროც. მთელი მსოფლიოს ნავთის მრეწველობისა, მაშინ, როდესაც ინგლისს ეკუთვნის მხოლოდ 20 პროც. თითქმის ასეთივე რეკორდს მიაღწია ამერიკამ ქვანახშირისა და მეტალურგიის დარგში. ამ შემთხვევაში ამერიკა გამოდის, როგორც უდიდესი კონკურენტი ინგლისისა და ემუქრება მის მსოფლიო მაშტაბს. ინგლისისა და ამერიკის კონფლიქტი უდიდეს საერთაშორისო აქტს წარმოადგენს და მათი ურთი ერთობა საზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის მიმართულებას.

აღვნიშნავთ კიდევ ერთს მომენტს, სადაც ინგლის-ამერიკის კონკურენცია უსაშინელეს სახეს ღებულობს და მსოფლიოს ახალი ომით ემუქრება.

ეს არის სამხედრო შეიარაღებისა და ფლოტის საკითხი 1914 წელს ამერიკის ფლოტის ტონაჟი იყო ათჯერ უფრო ნაკლები ინგლისთან შედარებით და იდგა გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიისა და იტალიის შემდეგ. 1920 წლისათვის მდგომარეობა საკმაოდ შეიცვალა. 1914 წელს ინგლისის ფლოტის ტონაჟი უდრიდა 18.900.000 ტონს, ამერიკის — 2.000.000-ს 1920 წელში ინგლისის—18.100.000 ტონს; დააკლდა 800 000 ტონი; ამერიკის—12.400.000; გაიზარდა 500 პროცენტით.

ამერიკის პოლიტიკოსების მთავარ მიზანს შეადგენს ზღვაზე ბატონობის მოპოვება. აქაც მისი უმთავრესი კონკურენტი არის ზღვის მეფე ინგლისი. ამერიკამ გადასწყვიტა ენერგიულად შეუდგეს სამსოფლიოს შენებას და 1925 წელში იყოლიება იმდენი ტონაჟი საზღვაო ფლოტისა, რამდენიც ერთს რომელიმე დიდ სახელმწიფოს მსოფლიოში.

რას გვეუბნება ამერიკის ასეთი გაზრდა, ამერიკის კაპიტალის ასეთი წარმატება როგორს საერთაშორისო პოლიტიკას ითხოვს? ამერიკის ინტერესია საერთაშორისო ბაზრების დაპყრობა და კოლონიების შეძენა. იგი სცდილობს შეიქმნას მსოფლიოს ბატონი. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმპერიალისტური გზით. ამერიკა ყველაზე უფრო იმპერიალისტური ქვეყანა არის დღეს დღეობით. მიუხედავად იმისა, რომ „ერთა ლიგას" იდეით გამოვიდა თანამედროვე ომში.

ვუდრო ვილსონი ერთა სოლიდარობას ქადაგებდა ევროპაში, მაგრამ ამერიკის კონტინენტზე და მის ახლო მახლო აშკარა დაპყრობითი პოლიტიკით გამოდიოდა. ამ ექვსიოდე წლის წინად დაიპყრეს კუნძული გაიტი ამერიკელებმა და მოკლეს აჯანყებული 3,250 კაცი. ეს მეორეს სწორედ ის, რასაც ინგლისი, ესპანია და მრავალი სხვა ჩადიოდა თავიანთ კოლონიებში. ომის დათავებისას ამერიკამ დაიპყრო ნიკარაგუა და კოსტარიკა და დააწესა იქ სამხედრო დიქტატურა. ვ. ვილსონი გაიქცა ევროპის ხალხთა ლიგიდან მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა გადასცა ინგლისს მანდატი მესოპოტამიაზე, ხოლო იაპონიას—კუნძულ იაპზე გერმანიის საკაბელო სადგურზე, ამერიკას სურს ჩაიგდოს ხელში გერმანიის საკაბელო სადგურები აღმოსავლეთში. ამერიკა ცდილობს შექმნას საზღვაო ბაზები ყოველ ზღვაზე და ამისათვის აწარმოებს ძველი ხასიათის იმპერიალისტურ პოლიტიკას. ის ხელშეკრულებას სდებს პორტუგალიასთან აზორის კუნძულებზე ამერიკული საზღვაო ბაზების შესაქმნელად.

მაგრამ ამერიკის მთელი ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ დაამყარონ თავიანთი ბატონობა ისეთ მხარეებში, რომელნიც კაპიტალიზმის გზაზე სდგანან ჯერ კიდევ და არ წარმოადგენენ რომელიმე სახელმწიფოს კოლონიას. ეს არის წყნარ ოკეანეს სანაპიროები, ჩინეთი და სამხრეთ ამერიკა. ამერიკას სურს უზრუნველყოს თავისი ბატონობა ამ მხარეებში, რომ უზრუნველყოს თავისი თავი ევროპის კონკურენციისაგან. მაგრამ მას აქ დიდი კონკურენტები უჩნდებათ ინგლისისა და იაპონიის სახით.

ამერიკის უდიდესი მტერი ინგლისია.

ინგლისის მდგომარეობის გაუმჯობესება ნიშნავს ამერიკის მოსისხლე მტრის გამაგრებას. ეს კი შესაძლებელი არის მხოლოდ მაშინ, თუ მთელი ევროპა აღორძინების გზას დაადგება ეკონომიურად. ამიტომ ამერიკას არ სურს ევროპის აღდგენაში მონაწილეობა მიიღოს, ამით ის აძლიერებს თავის უდიდეს კონკურენციას. ამერიკის პოლიტიკა მთელი ევროპის მიმართ ჯერ კიდევ მუშის პროცესში არის. მას სურს შემოიფარგლოს ავადმყოფ ევროპისაგან. მიტომ მისი მთავარი ყურადღება ევროპის გარეშე არსებულ ტერიტორიების დაპყრობისაკენ არის მიმართული, რომ ამით საზღვარი დაუდვას ევროპასთან გადამჭრელ ურთიერთობას.

ამიტომ ამერიკამ გენუას კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა, ამით იგი ევროპის საქმეებში აღარ ერევა. რით ასაბუთებს ამერიკა თავის უარის ყოფას? ლონდონიდან მარტის 21-ს მოსული ცნობით გარდინგი აცხადებს, რომ მტკიცე ბაზის შექმნა ევროპის აღსადგენად შეუძლებელია გერმანიის რეპარაციის საკითხის მოწესრიგებამდე და ევროპის სახელმწიფოთა ხმელეთის ჯარის შემცირებამდე; ვინაიდგან გენუა არც ერთ ამ კითხვას არ ეხება, ამიტომ ამერიკის კონფერენციაზე მონაწილეობა უსარგებლოა.

მაგრამ საკითხის ასე დასმა მხოლოდ ფორმალურია. არსებითად ამერიკა უკმაყოფილოა ვერსალის საზავო პირობებით და მთელი ევროპის პოლიტიკით. ამერიკა მთელი ევროპის კრედიტორია, მაგრამ ევროპისაგან ის ეხლა ვერ ღებულობს იმ სესხის პროცენტებსაც, რომელიც მას ეკუთვნის. გარდა ამისა ევროპამ ამერიკის სესხი მისდა საწინააღმდეგოდ გამოიყენა. ინგლისის ერთი პოლიტიკოსი აცხადებდა, ჩვენ ვისესხეთ ამერიკისაგან 4 მილიარდი დოლარი და შევიძინეთ ნავთის წყაროები ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, სპარსეთში, ინდოეთში და სხვა. ამერიკისათვის ნავთის წყაროების შეძენა უდიდეს საკითხს წარმოადგენს. ინგლისმა მას დაასწრო. ნავთის წყაროების შეძენა ღირს იმ სესხით, რომელიც მიიღო ამერიკისაგან. საფრანგეთის არმია ხომ ამერიკის ხარჯებით ინახება.

ევროპამ ამერიკის სესხი გამოიყენა ამერიკისავე საწინააღმდეგოდ. დღეს ამერიკა ანტი-ევროპიულს პოლიტიკას აწარმოებს და ეძებს ამისათვის მოკავშირეებს. საფრანგეთთან ვერ შესძლო შეთანხმება და თავისი გეზი უმთავრესად გერმანიისაკენ გიდახარა. აქ ისმის გერმანიის რეპარაციის საკითხი, ამით ამერიკას სურს გერმანია მიიმხროს და გაამწვავოს ევროპის პირობები. მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკოსები საკითხს სხვანაირად სვამენ და ამერიკის სესხის საკითხს უკავშირებენ გერმანიის რეპარაციის კითხვას. გერმანიის სარეპარაციო თანხას შეადგენს ხუთ ნახ. მილიარდი გირ. სტერლინგი; მოკავშირეებმა ამერიკას უნდა მისცენ სამი და ერთი მეოთხედი მილიარდი, თუ ამ თანხას გამოვაკლებთ სარეპარაციო თანხას გერმანიას გადახდება ორი და მეოთხედი მილიარდი. ამ გვარად მოკავშირეებს ამერიკის სესხის საკითხი გერმანიის ზურგზე გადაქვთ, ამერიკისა და გერმანიის ურთიერთობას ამწვავებენ.

ამერიკა ანტი-ევროპიული პოლიტიკით არის გატაცებული და მის ინტერესს არ შეადგენს ევროპის იმფორმებით აღდგენა, როგორც ეს სურს მის პოლიტიკოსებს. ამ პოლიტიკის შედეგია მისი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის საქმეებთან.

გენუა ევროპის აღდგენაზე სცდილობს და ამის შესახებ გეგმებს იმუშავებს საბ. რუსეთთან ურთიერთობის შესახებ.

ამერიკას არ სურს მონაწილეობის მიღება ევროპის აღდგენაში და ამიტომ გვერდზედ გადგომის პოლიტიკა არჩია. მაგრამ იგი არსებითად დაინტერესებული არის ევროპის საქმეებით, რადგან ევროპა ამერიკის უდიდეს მოქიშპესა და კონკურენტს წარმოადგენს, თანამედროვე ევროპის მოწესრიგება და აღდგენა განსაზღვრავს ამერიკის მომავალსა და მისი პოლიტიკის სავალ გზებს. ევროპის საქმეებიდან გვერდზე გადგომა ამერიკას აიძულებს უფრო აქტიური პოლიტიკა აწარმოოს სხვა მხარეებში.

ხამ. ხუნდაძე.

„ქართველი ხალხი ბურჟუაზიულ წეს-წყობილებასაც თავს დააღწევს და სოციალურ კომუნიზმის ნიადაგზე თავის ადამიანობას უკიდურეს წერტილამდი აამაღლებს.

(პარიზის „საქართველო". —
1904 წ.).

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია

ბერლინი. 4 აპრილი. სოციალ-დემოკრატების, დამოუკიდებლების და კომუნისტების საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა ბერლინში. კლარა ცეტკინმა შეიტანა წინადადება ერთდროულად გენუის კონფერენციასთან მოიწვიონ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია, რათა აიძულონ გენუა დაწვ-

რილებით გაარჩიოს მუშათა საკითხი, გამოამჟღავნოს რეაქციონური ტენდენციები გენუის კონფერენციისა და მიიყვანოს იგი ვერსალის ხელშეკრულობის გადასინჯვის აუცილებლობამდის. ვერსალის ხელშეკრულობის შესახებ პასუხი გასცა ვანდერველდემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა შესაძლებელია ხელსაყრელი იყოს გერმანიის მუშათა კლასისათვის, მაგრამ იგი სრულიებით მიუღებელია საფრანგეთის და ბელგიის მუშებისათვის. რადეკმა ამ განცხადებას „კომედია“ უწოდა და ხელ ახლა ხაზი გაუსვა გენუაში ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობას, მიუხედავად პუანკარეს წინააღმდეგობისა. რადეკმა სხვათა შორის განაცხადა: მოქალაქე ვანდერველდე ერთ ნავში ზის იმათთან, ვინც ფაქტიური პასუხისმგებელია ომისა. რადეკის მკაცრმა განცხადებამ გამოიწვია ის, რომ ინგლისელმა სოციალისტმა მაკდონალდმა მოითხოვა სხდომის შეწყვეტა იმ მიზნით, რომ მეორე ინტერნაციონალის დელეგაციას სურს მსჯელობა იქონიოს შექმნილი მდგომარეობის შესახებ. იმედები იმის შესახებ, რომ კონფერენცია მოგვცემს დადებით შედეგებს და მიგვიყვანს შეთანხმებამდის—მინიმალურია.

ბორდო. 4 აპრილი. ბერლინში გაიხსნა კონფერენცია სამივე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტებისა, სამივე ინტერნაციონალის კონგრესის მოწვევის საკითხის გასარჩევად. კლარა ცეტკინამ განაცხადა, რომ მესამე ინტერნაციონალი ღებულობს წინადადებას საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მოწვევისას. ვანდერველდემ განაცხადა, რომ მეორე ინტერნაციონალის მონაწილეობა სოციალისტების საერთაშორისო კონგრესზე დამოკიდებულია „რუსეთში პოლიტიკურ დაპატიმრებულთა განთავისუფლებაზე, უკრაინის, საქართველოს და სომხეთის სოციალისტებისათვის უფლების მიცემაზე თავისუფლად მოაწყონ არჩევნები ამ კონგრესის დელეგატებისა“. დასასრულ, მეორე ინტერნაციონალს სურს ნამდვილად დარწმუნდეს იმაში, რომ კომუნისტები მართლაც დაინტერესებულნი არიან შეთანხმებით.

გენუას კონფერენციის გარშემო

[თემთა პალატა—ხაზგ. რუსეთზე.

ბორდო, 4 აპრილი. პარასკევს დეპუტატთა პალატამ განიხილა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

კამათის დროს სხვათა შორის, კომუნისტ კაშენმა განაცხადა, რომ რადეკმა თხოვნით მიმართა, რათა საფრანგეთის მთავრობისათვის მეცნობებინა საბჭოთა მთავრობის სურვილი, საბჭოთა რუსეთის და საფრანგეთის დელეგატების შეხვედრა მოხდეს გენუას კონფერენციის დაწყებამდისო.

არისტიდ ბრიანმა გააკეთა ვრცელი მოხსენება მთავრობის მოქმედების შესახებ, როდესაც იგი ჯერ ისევ პრემიერად იყო. ბრიანმა გაიხსენა თავის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი რომელსაც ერთი მიზანი ჰქონდა—უმედურებათა შემცირება, რომელიც დიდმა ომმა გამოიწვია და სოლიდარობის საფუძველზე საფრანგეთის უზრუნველყოფა, კონტრიბუციის აღება და აგრეთვე იმ ოლქების აღდგენა რომელნიც დანგრეულ და დაზიანებულ იქმნენ. ეს პრინციპები ბრიანმა გაატარა სამ კონფერენციაზე—ვაშინგტონში, ლონდონში და კანნაში. ამას გარდა ბრიანი კატეგორიულად უარჰყოფს ზოგიერთ გაზეთის ცნობებს, ვითომ მას იუზის წინადადებით მიემართოს საფრანგეთ ამერიკის კავშირის შეკვრა ინგლისის წინააღმდეგ. შემდეგ გამოვიდა პუანკარე, რომელმაც აღნიშნა რომ ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება, ერთი კავშირის შესაკრავად კარგად მიდის, გენუის კონფერენციის შესახებ კი პუანკარემ სთქვა: „საბჭოთა მთავრობის წინადადება საფრანგეთის მთავრობასთან წინასწარ მოლაპარაკების შესახებ მოწმობს იმას, რომ საბჭოთა მთავრობას სურს გენუას კონფერენციამდის მოკავშირეებთან შეთანხმებას მიაღწიოს“ შემდეგ პუანკარემ აღნიშნა: „დადებული ხელშეკრულებანი უნდა დაცულ იქმნას დიდი სიწმინდით. საფრანგეთი ყოველთვის წინააღმდეგი იქნება რომ გენუას კონფერენცია გახდეს მუდმივ არბიტრაჟის ორგანოდ. კანნის პირობების მიღება საბჭოთა მთავრობისთვის აუცილებელია. ყოველივე ამ პირობების შესრულების შემდეგ საფრანგეთი, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, ყოველ მხრივ ეცდება, რომ გენუას კონფერენციამ გამოიღოს შესაფერი შედეგები არა მარტო დღეის მომენტისთვის, არამედ მომავლისთვისაც“.

რა სთქვა პუანკარემ?

ბერლინი. 4 აპრილი. პუანკარემ თემთა პალატაში განაცხადა: საფრანგეთი არ მიიღებს მონაწილეობას გენუას კონფერენციაში, თუ საბჭოთა რუსეთი ოფიციალურად უარს იტყვის კანნის პირობების მიღებაზე. პირიქით, თუ საბჭოთა მთავრობა თავის დელეგატების სახით ამ პირობებს მიიღებს, მაშინ ეს საკმაო იქნება იმის რომ საფრანგეთის უფლებები დაცული და უზრუნველყოფილი იქნება.

საფრანგეთის ოფიციოზის კამპანია

მოსკოვი. 4 აპრილი. ლონდონიდან მარტის 30 ს თარიღით იტყობინებიან: „ტანი“ თავის კამპანიას, გენუას კონფერენციის წინააღმდეგ, არა შლის. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს თავის მოქმედებებში, ამით საფრანგეთმა უნდა აცნობოს ყველას რომ იგი სრულიად [illegible] დაკავშირებული ექსპერტების მოთხოვნილებებთან.

გენუა მზადაა

რომი. 2 აპრილი. უახლოეს მომავალში გენუაში მიემგზავრება გენერალური სამდივნო. გენუა მზადაა მიიღოს უცხო სახელმწიფოების დელეგატები. პირველს დელეგაციას მოელიან ინგლისიდან, რომელიც შედგება 100 წევრისაგან.

პრესა—ჩიჩერინის ნოტის შესახებ

ლონდონი. 21 მარტი. „დეილი ნიუსი“-ი თავის მეთაურში ეხება გენუას საკითხს და ამხ. ჩიჩერინის ნოტას, რომელიც პუანკარესთან იყო გაგზავნილი. გაზეთის აზრით ჩიჩერინი მეტად ოპტიმისტური თვალსაზრისით უყურებს გენუას კონფერენციას. „ინგლის-საფრანგეთის წინასწარი შეთანხმებანი, სწერს „დეილი ნიუსი“ უკვე წინათვე იყო მიხწეული. ეტყობა საფრანგეთის და ინგლისის პოლიტიკური მოღვაწენი კიდევ ილუზიებით სცხოვრობენ. უსათუოდ, ეჭვგარეშეა რუსეთის საკითხი უმთავრეს საგანს დაიჭერს და გამოიწვევს აზრთა სხვა და სხვაობას, თუ რასაკვირველია, კონფერენცია რუსეთს დაეხმარება და საშუალებას მისცემს ტრანსპორტის მოწესრიგებას. გამოიღებს თუ არა ასეთ შედეგებს კონფერენცია, ეს საგრძნობლად დამოკიდებული იქნება საფრანგეთზე და განსაკუთრებით პუანკარეზე, თუ წავა დათმობის გზით რუსეთის ვალების განლევის შესახებ. ჩვენ ვიცით პუანკარეს ნამდვილი გულის ზრახვანი, მაგრამ კარგად ვიცით ისიც, რომ კონფერენცია არ იქნება გადადებული არავითარ შემთხვევაში“.

ამერიკის უარის მიზეზი

ლონდონი. 21 მარტი. „მორნინგ-პოსტ“-ის კორესპონდენტი იტყობინება შემდეგ ცნობას: ამერიკის უარი—გენუას კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად—გამოწვეულია შემდეგი მოსაზრებით: როგორც იუზი ისე გუვერი, რომელთა კარნახით მოქმედობდა პრეზიდენტი გარდინგიც კონფერენციაზე დასწრების უმთავრესი უარის მოტივი, როგორც ფიქრობენ არის ის, რომ ევროპის აღდგენისათვის რაიმე მკვიდრი ბაზის შექმნა შეუძლებელი იქნება—ვიდრე არ მოწესრიგდება გერმანეთის რეპარაციის საკითხი და ევროპიელ სახელმწიფოების ჯარების შემცირება. რადგან არც ერთი ამ საკითხთაგანი გენუას კონფერენციის პროგრამაში არ არის დასმული, პრეზიდენტის აზრით, ამერიკის მონაწილეობის მიღება კონფერენციაზე უსარგებლო იქნება.

მსჯელობა რუსეთის საკითხის შესახებ

ლიფილდი. 21 მარტი. არავითარი ოფიციალური ცნობა, მოკავშირეთა იქ პირების ყრილობისა ლონდონში არ ყოფილა გამოქვეყნებული. „დეილი ნიუსის“ დიპლომატიური კორესპონდენტის სიტყვით, ფაქტიურად მთელი სხდომა ეხებოდა რუსეთის საკითხს, რომელიც, როგორც სჩანს აგრეთვე იქნება პირველ კითხვად დღეს დილის და საღამოს სხდომებზე. უმთავრესად არჩეოდა ინგლისის წინადადება, რუსეთის ვალის სხვა და სხვა კატეგორიებად დანაწილების შესახებ და იმ გარანტიის შესახებ, რომელიც უზრუნველჰყოფს საბჭოთა ხელშეკრულების ძალას. საფრანგეთის და ბელგიის დელეგატებს არავითარი კონკრეტიული გეგმა არ წამოუყენებიათ. ინგლისის წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ ის ვალები რომლის ცნობას მოითხოვენ. რუსეთიდან გადახდილ იქნას ახალი სესხის გადამით რომელზედაც პირველი 5 წლის განმავლობაში არ გადაახდევინებენ პროცენტს; სხვა სიტყვებით; რუსეთის წინ შე იქნება წაყენებული 5 წლიანი მორატორიუმი. იაპონიის ექსპერტებმა მიიღეს ჩვეულებრივზედ უფრო აქტიური მონაწილეობა რუსეთის საკითხის კამათში, რადგან ისინი განსაკუთრებულად დაინტერესებული იყვნენ ციმბირის პრობლემაში.

წინასწარი შეხვედრა.

ნაუენი 4 აპრილი. ლონდონის გაზეთები გადმოგვცემენ ცნობებს, პარიზიდან მიღებულს, იმის შესახებ, რომ გენუას კონფერენციის დაწყებამდის მოკავშირეთა დელეგატების წინასწარი შეხვედრა კიდევ მოხდება. ეს შეხვედრა არ იქნება ბულონიის თათბირის მსგავსი, არამედ აქ გათვალწინებული უნდა იყოს პროგრამის დეტალები..

საფრანგეთის დელეგ. შემადგენლობა.

მოსკოვი. 5 აპრილი. საფრანგეთის დელეგაციის პრესა ეხება რა საფრანგეთის დელეგაციის შემადგენლობას—აღნიშნავს, რომ დელეგაცია შედგენილია საფრანგეთის მთავრობის პასუხისმგებელ პირებისგან, გაზეთების სიტყვით პუანკარე კონფერენციაზე მივა მის მუშაობის მეორე ნაწილზე ბარტუს შესაცვლელად.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში საგარეო პოლიტიკის სჯაბაასის დროს პუანკარემ განაცხადა, რომ ის პირობები რომელიც გამომუშავდა კანნაში რჩება მიუწყეველი. საფრანგეთის დელეგატები გენუაში მოითხოვენ საბჭოთა წარმომადგენელთაგან, რომ მათ დაამტკიცონ თავიანთი კეთილგანზრახვანი ამ საქმეში. საფრანგეთ-საბჭოთა მთავრობის მოლაპარაკების ცნობები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

საფრანგეთის პოზიცია

ბერლინი, 4 აპრილი. საფრანგეთის პრესა, პუანკარეს განცხადების დეპუტატთა პალატაში—დაწვრილებითი კომენტარიებს უკეთებს. გაზეთები გადაწყვეტით აღნიშნავენ, რომ საფრანგეთმა საბოლოოდ გადასწყვიტა დაიცვას ვერსალის ხელშეკრულება და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას კონტრიბუციის და განიარაღების საკითხის გახილვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრანგეთის დელეგაცია გენუას კონფერენციას მიატოვებს და მოიქცევა ისე, როგორც მოიქცა სამი წლის წინად იტალიის წარმომადგენელი სონინო, რომელიც წასვლის უმალვე უმაღლეს საბჭოს პროტესტი განუცხადა.

ინგლისის პოზიცია

ნაუენი. 4 აპრილი, „ტაიმსი“ სწერს „ევროპის კეთილდღეობა და მისი ცივილიზაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანენ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელნი გენუას კონფერენციაზე.

ლონდონი, 4 აპრილი. „ობსერვერ“-ი აღნიშნავს: დელეგატების უმრავლესობამ რომ გენუაში მოინდომოს კონტრიბუციის პრობლემის გადაშინჯვა, მაშინ უსათუოდ ინგლისის დელეგაცია [illegible] ხრობა უპირველესობას.

მოსკოვი. 5 აპრილი. თემთა პალატაში ჩემბერლენმა [illegible] ინგლისის დელეგაციის [illegible] წარადგინა [illegible] დასაბუთებულად და მოსაწონებლად.

„ჩვენის ხალხის განვითარების „ისტორია“... პროგრესისაკენ მისწრაფების სწორ ხაზს სრულიადაც არ წარმოადგენს. ხაზი არსად არ სწყდება, ხოლო იგი ათასგვარად იკლაკნება და იგრიხება, ვინც ამ კლაკნას და გრეხას სიკვდილის სახელით ნათლავს, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს სიცოცხლის განვითარების კანონებზე“.

არჩილ ჯორჯაძე.

უცხოეთი

საფრანგეთის მაღაროების მდგომარეობა.

ვარშავა 22 მარტი. „იუმანიტეს“ ცნობით, პარლამენტის კომუნისტურმა ჯგუფმა კითხვა შეიტანა ქვანახშირის კომპანიების მიერ ჩადენილ მთელი წყება ბოროტ-მოქმედებაზე, რომელთაც არა სურდათ საფრანგეთის ნახშირის გაყიდვა საერთაშორისო ბაზრის ფასებში, არჩიეს წარმოების შეჩერება. მალე უნდა მოველოდეთ სრულიად შეჩერებას საფრანგეთის მაღაროების მოქმედებისას კაპიტალისტების ასეთი მახინაციებით. კომუნისტ დეპუტატები ამასთან ერთად აღნიშნავენ კაპიტალისტების მეცადინეობას სამუშაო დღის გადიდებისათვის.

გრანდიოზული დემონსტრაცია.

ბერლინი, 22 მარტი. ბერლინის პრესა იუწყება მასიურ დემონსტრაციას, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 10,000 მუშა, შეკავშირებული გერმანიის კომუნისტურ პარტიის მიერ. ახალი მტაცებელი გადასახადის წინააღმდეგ და კლასიურ იუსტიციისა, პროტესტის გამოსაცხადებლად.

მრავალი მუშები კომუნისტების მოწოდებით სტოვებდნენ ფაბრიკებს, გამოდიოდნენ გასვრილი სამუშაო ტანისამოსით და უერთდებოდნენ დემონსტრანტებს, რომელსაც ემატებოდა თანამგრძნობი ხალხი. კომუნისტ გეკერმა ხალხის მღელვარების გაძლიერების დროს სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა მუშათა კლასის აუტანელი მდგომარეობა ებერტის რესპუბლიკაში—თუმცა მთავრობა სოციალისტებიდან შედგარია, სთქვა გეკერმა და იუსტიციის სამინისტროს მეთაურობს მემარჯვენე სოციალისტები, თაღლითი კაპიტალისტები და კონტრ-რევოლიუციონერები მაინც თავშესაფარავს პოულობენ მხარეში და თავისუფლად დასეირნობენ როზა ლიუქსემბურგის, ლიბკნეხტის და მრავალი ათასი მუშების მკვლელნი. შემდეგ გეკერი მემარჯვენე სოციალისტებს უწოდებს კონტრ-რევოლიუციონერებს და ბოროტ-მოქმედებს მუშათა კლასის მიმართ მისთვის, რომ ისინი აქეზებენ მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. კომუნისტებს შეუძლია მასის მიერ მხარის დაჭერით პირბადე ახადოს მინისტრებს მემარჯვენე სოციალისტებიდან, რომელნიც არსებითად წარმოადგენენ პოლიციის თარეშობას კაპიტალისტების ხარჯზე.

მეორე ორატორი ნეიმონი ხაზს უსვამს დემონსტრაციის მნიშვნელობას, როგორც ახალ მობილიზაციას რევოლიუციონურ ძალთა გერმანელ პროლეტარიატისას ხანგრძლივი შე-

არჩილის გამოსვენება ქ. ბათომიდან და მისი დაკრძალვა დიდუბის პანთეონში

(მოგონებანი*)

* *

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი სადგური ტფილისამდი, რომ მრავალრიცხოვან საზოგადოებას არ შეეყარა თავი და ცოცხალი ვარდ ყვავილებით დაგვირგვინებით არ შეემკონ ძვირფასი კუბო და პანაშვიდები არ გადაეხადონ მისი სულის მოსახსენებლად.

კუბო სულ ცოცხალ ყვავილებით იყო ჩაფლული. ხშირად პატარა სადგურებზე, სადაც ვერ ასწრებდნენ პანაშვიდების გადახდას საზოგადოება მღვდლებით და დიაკვნებით შემოდიოდა ვაგონებში და ასე უხდიდა პანაშვიდს მიმავალ მატარებელში... მრავალ ადგილას წარმოითქვა სიტყვა მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობებოდა ამას წინ... არ დამავიწყდება ჩემ სიცოცხლეში რაინდულ სიმტკიცით წარმოთქმული სიტყვა ჩვენში კარგად ცნობილი მოღვაწის ბ. გ. იოსელიანის დ. ხაშურში. ბ. გ. იოსელიანის სიტყვა ნამდვილი გრძნობათა ბობოქარი ზღვა იყო და ამიტომ ღრმად ჩაიბეჭდა ჩემს გულში. მშვენიერი ნაზ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დაუვიწყარ არჩილს ჩვენმა ტკბილმა მწერალმა ნიკო ლომოურმა ქ. გორში. საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, როცა მივედით ტფილისში. მრავალრიცხოვან საზოგადოებას შეეყარა თავი სადგურში. გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი მოუთმენლად მოელოდნენ სამგლოვიარო მატარებლის მისვლას და საყვარელ ადამიანის გაცივებულ გვამის ხილვას... ლიხს აქეთურმა ამხანაგებმა აკანკალებული ხელებით გადასცა ლიხს იქითურ თანამოაზრეებს მათი ბელადის უსიცოცხლო გვამი... ყველა იქ დამსწრენი უსიტყვო დანაღვლიანებული დუმილით გაეშურა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიისაკენ... მრავალრიცხოვანი გვირგვინები ათასნაირი სამგლოვიარო წარწერებით, როგორც აქედან მისულის იქ დამხვდურ მოწაფეებს მოგვცენ წასაღებად. ერთხანს მივქონდა გვირგვინები—მაგრამ შემდეგ პოლიცია ჩაერია საქმეში და ნება არ მოგვცა გვირგვინების ხელით წაღებისა. იმ ღამით არჩილის ცხედარი ქვაშვეთის ეკლესიაში დაასვენეს. მეორე დღეს დილის ცხრა საათზე ზღვა საზოგადოებამ მოიყარა თავი. წირვისა და წესის აგების შემდეგ ცხედარი გამოასვენეს თანამოაზრეებმა და ამხანაგებმა. მწუხარე და სევდიან პროცესიას აშვენებდა ქართულ მომღერალთა გუნდი ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი... წესრიგი ყველგან შესანიშნავად იყო დაცული.

მიცვალებული წაასვენეს დიდუბის პანთეონში ლორის-მელიქოვის, გოლოვინის, ვერის დაღმართის, მიხეილის ქუჩებით. დასაფლავების დროს სიტყვები არავის არ წარმოუთქვამს. მრავალმეტყველი დუმილით და ნაღვლიანებული საზოგადოება დაეშვა მიწაზე და ცხარე ცრემლები დააფრქვია მებრძოლ რაინდის ახლად გათხრილ საფლავზე. მწარე ქვითინით სტიროდა ხალხი, სტიროდა თავის მოამაგეს, შეუდარებელ ქართველ მოაზროვნეს... მაგრამ, აჰა, უპირო ბედმა მიწის შავი კალთა გადააფარა მის ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამს... სამუდამოდ მიიფარა ძვირფასი არჩილის ცხედარი, ჩვენი თვალებიდან დაიკარგა არჩილის სხეული, მაგრამ არ დაგვიკარგავს მისი სპეტაკი სული, რომელიც მზის ცხოველმყოფ სხივებივით ხალხის უკვდავ სულს შეურთდა და იქ ჰპოვა სამარადისო ბინა.

ჩემს სიცოცხლეში ორი დიდ დასაფლავებას დავესწარი, მე არ დავსწრებივარ წიწამურის ტრაგედიის მთავარ გმირის ილიას დასაფლავებას, მაგრამ დავესწარი უმწიკვლო არჩილისა და დიდი აკაკის დასაფლავებას. არ ვიტყვი, რომ ორივე დასაფლავება ერთნაირი ყოფილიყო, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ორივე დიდი და მეტის მეტად სამგლოვიარო დასაფლავება იყო.

ორივე გზობა ვიხილე ზღვა ხალხი დამწუხრებული და დაღვრემილი. ორივე გზობა ვიხილე ხალხის მშვენიერი ცრემლები, რომელიც მათი მგრძნობიარე გულის სიღრმიდან იყო ამონახეთქი.

არჩილი ქართველი ერის სულიერ ცხოვრების სისპეტაკისა და სიმშვენიერის ხორცშესხმული გამოხატულება. არჩილის ამ სულიერ თვისების წინაშე ქედი მოიდრიკა მთელმა საქართველომ განურჩევლად ყოველგვარ პარტიისა... ახლო მომავალში, როდესაც თვითშემეცნება გაარღვევს საუკუნოების მიერ შემოზღუდულ კედლებს და ღრმად გაიდგამს ფესვებს ხალხის მგრძნობიარე გულში, როცა თვითშემეცნებით დარაზმული დემოკრატია მოინდომებს ცხოვრების სათავეში მოქცევას და მის წინ გაძღოლას, მე დარწმუნებული ვარ, ის არჩილში ჰპოებს მათი ინტერესების ერთს უდიდეს და უმშვენიერეს დამცველს, მაშინ არჩილის სახელი უფრო გაიზრდება, უფრო გაბრწყინდება. მაშინ მშრომელი დემოკრატია უფრო მძლავრად იგრძნობს, თუ როგორი დიდი ვინმე დაკარგა, ამ ორი წლის წინეთ ტანჯულმა საქართველომ.

ხ. დევანი.

1915 წ. 20 მარტი.

წყვეტის შემდეგ. მაგრამ ამ დემონსტრაციით არ დაკმაყოფილდება პროლეტარიატი მუშათა მასა ს. დ. მუშებთან კავშირით წინააღმდეგ ბურჟუაზიულ მთავრობისა და სოც. დემოკრატებისა, რომელნიც სხედან იუსტიტიციის სამინისტროს სავარძელში, პოლიციის პრეზიდიუმში აიძულებს მათ „ციხის კარების“ გაღებას. ნეიმანი აბოლავებს თავის სიტყვას სამარი მოწოდებით:

— არა თხოვნით და მუდარით მოვსულვართ ჩვენ აქ, არამედ მოთხოვნილებით და მზათ ბრძოლისათვის.

„როტე ფონე“ ხაზს უსვამს მომხდარ დემონსტრაციის დიდს მნიშვნელობას, როგორც პირველ გადამწყვეტ მოწოდებას და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ძალთა გასინჯვას, რომელსაც მოყვება ახალი სამხედრო მომზადება.

ახალი გამხილება.

ვარშავა, 22 მარტი „ეხა ნაციონალში“ ტარლე იუწყება, რომ საფრანგეთი გამოკლებული იყო ვაშინგტონში მონაწილეობიდან იმ მოლაპარაკებაში, რომელსაც მის მიმართ აწარმოებდნენ შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და იაპონია, ტარდეს რწმენით, საფრანგეთი წარმოდგენილი ამერიკაში მთავრობის მეთაურად მთელი კვირის განმავლობაში თამაშობდა როლს მეორე ხარისხოვან სახელმწიფოისას, რომლის აზრს სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. ტარდე სთვლის ბრიანს ერთად ერთ დამნაშავეთ საფრანგეთის სირცხვილში და დამცირებაში და მოითხოვს მის პასუხის გებაში მიცემას.

ამერიკის კაპიტალის ახალი გამოლაშქრება.

თებერვლის 3-ს 1922 წ. ამერიკის სენატმა მიიღო ბილლი, რომელიც შეტანილ იქმნა მავ—კორ მიბის მიერ 10 მილიარდის დაფარვის შესახებ, რომელიც მოკავშირეებმა უნდა გადაიხადონ. ამერიკის სენატის ამ დადგენილებამ, ბურჟუაზიის იმედი სრულიად გააქარწყლა, თითქოს-და შეერთებული შტატების მხრით, რომელიც მოკავშირეთა ვალებს სრულიად გააუქმებს—ევროპის ეკონომიას გააჯანსაღებს, რამაც შეიძლება ბურჟუაზიის კაპიტალზე არ იმოქმედოს მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები დღეს თითქმის მთელი ქვეყნის ნაღდი ოქროთი განაგებენ, მაინც ძალიან დატვირთულია შინაური ვალებით და მათი ვაჭრობა და მრეწველობა დღეს მწვავე კრიზისს განიცდის, სამხედრო ვალების დასაფარავად ამერიკის მთავრობა იძულებული შეიქმნა 24 მილიარდი ესესხა, რომლის შორის 7,5 მილიარდი და გაანაღდოს 1923 წელს. სახელმწიფოს გასავალი 1916 წელს რომელიც იყო 1,1 მილიარდი 1922 წელს გადიდდა 4 მილიარდამდე და ამ რიგად სახელმწიფოს გასავალს მიემატა 3 მილიარდი.

საერთო პოლიტიკა.

ვენა, 31 მარტი. „ნეიე ფრეიე პრესსე“ აქვეყნებს ჩეხო-სლოვაკიის პრემიერ ბენეშთან ბაასს, რომელსაც განუცხადებია, რომ ევროპისათვის უსათუოდ აუცილებელია, რუსეთის შესახებ საერთო პოლიტიკა იქონიოს. ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტა არ შეიძლება გადიდოს. თუ პრობლემის გარდაწყვეტა არ მოხდეს, მაშინ მას ისევ უნდა დაუბრუნდნენ რამდენიმე თვის შემდეგ. ინგლისს და საფრანგეთს მართებს ერთად გამოსვლა—„მისთვის საბჭოთა პოლიტიკა—დამარცხებაა“. ჩეხო-სლოვაკიას, ბენეშის აზრით, აზრად აქვს საბჭოთა რუსეთთან დაიჭიროს ფართე ეკონომიური თანამშრომლობა, რამდენადაც ეს არ გამოიწვევს თვის მხრივ პოლიტიკურ ცნობას. გენუის კონფერენცია, აცხადებს ბენეში, უეჭველია, საბოლოო შედეგებს ვერ მიაღწევს, მაგრამ მას მნიშვნელობა ექნება რომ შემდეგ მოლაპარაკებისთვის მოამზადოს ნიადაგი. მცირე ანტანტის მოკავშირეებთა შორის მხოლოდ ერთ ჩეხო-სლოვაკიას შეუძლიან ითამაშოს დიდი როლი რუსეთის აღდგენის საკითხში. უეჭველია, რუსეთის აღდგენაში მონაწილეობა, მიიღებენ ის ქვეყნებიც, რომელნიც გამოელიან ჩაყრილ თავიანთ კაპიტალის დაბრუნებას. ამ შემთხვევაში პირველ რიგში ელის ამერიკა, მერე ინგლისი და მერე საფრანგეთი.

გერმანელ დამოუკიდებელთა კრიზისი.

მოსკოვი, 4 აპრილი. ბერლინიდან 30 მარტის თარიღით იტყობინებიან: დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიის კრიზისი თან და თან წვავდება. ცენტრალურ ჯგუფის წინამძღოლი ლიტმანი სასტიკი წინააღმდეგობით გამოდის გილფერდინგის წინაშე. ლიტმანის სრულიად შეუძლებლად მიაჩნია შეამდგომლობის გაგრძელება მას შემდეგ, რაც გილფერდინგმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც აღნიშნავდა მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის შესახებ უიმედობას და პესიმიზმს. გილფერდინგს, სოციალ-დემოკრატების და დამოუკიდებელთა უთანხმოების გამოწვევა, მიაჩნია სრულიად უსაფუძვლო ნიადაგზე.

მოსკოვი, 2 აპრილი. ბერლინიდან 28 მარტის თარიღით იტყობინებიან: დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტია აუცილებელ კრიზისის წინა სდგას. კაუცკი გაზეთ „ფორვერტს“-ში სასტიკ პროტესტს აცხადებს ც. კ. მოწოდების გამო და მოითხოვს დამოუკიდებელ პარტიის პლატფორმაზე შეერთებას. „კაუცკი, როგორც ეტყობა, ემზადება დამოუკიდებელთა მემარჯვენე ფრთიდან —სოციალ-დემოკრატებისაკენ გადასვლას. კაუცკი,' აღნიშნავს, რომ მისი წერილი, ალბად, დამოუკიდებლებზე არავითარ შთაბეჭდილებას არ იქონიებს.

— ბერლინიდან მარტის 28-ს თარიღით, გადმოგვცემენ შემდეგ ცნობას:

რედაქცია „ფრეიჰეიტ“-ის (დამოუკიდებელთა ორგანო:) მოსალოდნელ გამოსვლების გამო ბერლინში გავრცელებულია ხმები, რომ ეს გარემოება გამოიწვევს დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიის ახალი კრიზისს მოსალოდნელია განხეთქილებაც. „ფორვერტს“-ი დამოუკიდებელთ აფრთხილებს ამგვარ სახიფათო ნაბიჯისაგან და უთითებს იმ რადიკალურ მიმდინარეობას, რომელიც არსებობს დამოუკიდებელთა შორის მას შემდეგ, რაც მათ შეუერთდა მემარცხენეთა ჯგუფი.

მემაღაროეთა გაფიცვა ამერიკაში.

მოსკოვი, 5 აპრილი. მემაღაროეების გაფიცვა კანადაში დაიწყო 2 აპრილს გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 600,000 კაცი.

რომი, 4 აპრილი. ილლის ნიასის შტატებში 100.000 მემაღაროენი გაიფიცნენ. გაფიცვის მიზეზი ხელფასის შემოკლებაა.

ანატოლიაში

მუსტაფა—ქემალ-ფაშას სიტყვა

სტამბოლის გაზეთ „თევჰიდი ეფქარ“-ში გადმობეჭდილი არის ორ მარტს დიდ ეროვნულ ყრილობაზე მუსტაფა—ქემალ ფაშის მიერ წარმოთქმული შემდეგი სიტყვა:

„დიდ ეროვნულ ყრილობაზე გუშინ მუსტაფა ქემალ-ფაშამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნავს წარსული წლის ანატოლიაში მუშაობის და განსაკუთრებით ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რამდენათ განვითარდა ხალხში დამოუკიდებლობის, თავისუფლების სიყვარული და გრძნობა. ის ამბობს:

„ბრძანებლობა ხალხის უფლებაა“ შინაური წესწყობილება, სრული ბატონპატრონობა ხალხის უფლებაა და ასეთ უფლებებზე უნდა იყვეს აშენებული ჩვენი სახელმწიფო. აი, სწორედ ასეთ ბუნებრივ უფლებებზე აშენებულია ის კანონები, რომელიც მეჯლისის მიერ მიღებულ იქმნა. მაგალითებ, ასეთია ახალგამოცემული „ოლქის და თემის კანონები“ „მინისტრების პასუხისმგებლობის კანონი“ ჩვენი კანონების, წესწყობილების უმთავრესი ბოძი გახლავთ თურქის ტრადიციული, სოციალური და ადგილობრივი პირობები.

ზემოხსენებულ პირობების პატივცემაზეა აგებული ჩვენი მომავალი აღმშენებლობა.

რჯულის და სარწმუნოების ქადაგება უნდა წარმოებდეს თურქულად. შერიეთის საქმეთა ღირებულება, რაკი ყურანის (ყურანი) მცნებათა მიერაც აღიარებული სარწმუნოებრივი თვისებების ღირსებებით ხალხმაც, რომ იხარეგებლოს მესჯიდის ტრაპეზებზე „ხუტბა“ (ხოტბა) და სხვა ლოცვები ხალხის გასაგები ენით უნდა იყვეს თქმული და ხალხი გაშუქებული. რაც შეეხება ვაკუფთა მცნებათ სოციალური უზრუნველყოფის უწყებათა ადგილის დამჭერი—ეს სარწმუნოებრივი დაწესებულებათა აღდგენა და განვითარებაც მთავრობის განსაკუთრებულ მოვალეობას წარმოადგენს,

უმცირესობის უფლებების შესახებ, ის ამბობს:

„ჩვენს ქვეყანაში მყოფ ქრისტიანთა უმცირესობას მიენიჭება ის უფლებობა, როგორიც ეძლევა განათლებულ ქვეყნებში მყოფ უმცირესობას, მხოლოდ იმ პირობით, რომ სხვა ქვეყნებში მცხოვრებნი მუსულმანობაც თუ მიიღებს იმავე უფლებებს.

შემდეგ მუსტაფა ქემალ ფაშა ჩამოთვლის თუ რა და რა გაკეთებულა ანატოლიაში წარსულ წელში. მაგალითად, მთავრობა დაარსა ლიტოლეგიუმს, და მზირებს ის „იმისათვის, რომ კანონი მბრძანებელი იქნეს და მტკიცე სამართლიანობა დამყაროს ჩვენ განვიძრახით ამაღლება და გათანასწორება კანონებისა განათლებულ ქვეყნების კანონებთან და ამასთან ერთად განზრახული გვაქვს აგრეთვე მართლმსაჯულება განუჩვეულიყო ერიქ, რადგანაც და ყოველი, დამოუკიდებელი სახელმწიფო ამას სცდილობს, თავის შინაურ საქმეებში არ ჩაურიოს სხვა—არავინ. ჩვენ ვაარსებთ—როგორც, დამოუკიდებელ მსაჯულებს, მსაჯულთა კონტროლს, და მსაჯულთა მედიცინას. აგრეთვე მოხეტიალე ტომებისათვისაც შესაფერ მსაჯულებას, და ბოლოს დაარსებულ იქმნეს იურიდიული ფაკულტეტი.

ქვეყნის ბატონ-პატრონი სოფლელია ის 7 საუკ. განმავლობაში ომშიც ყანა-ბახჩასაც და ყველგან თავგანწირულად მუშაობს, კვდება, „მაგრამ ამის მაგივრად, რომ ის წესიერად პატივცემული იყვეს, პირიქით დაჩაგრული და დაქვეითებულია.

ის მოჯამაგირედაა გადაქცეული. ბატონებო, ჩვენ იძულებული ვართ, რომ ამით წინაშე—ქვეყნის ნამდვილ პატრონების წინაშე პატივისცემით და მორიდებით უნდა ვიდგეთ, საჭიროა გავიგოთ ჩვენი ნამდვილი მდგომარეობა“ ამ სიტყვებს მეჯლისი ხანგრძლივი ტაშისცემით შეხვდა.

შემდეგ მუსტაფა ქემალ ფაშა გადადის მეურნეობის გაუმჯობესობაზე და ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ სოფლებს ვეხმარებით, ხელს ვუწყობთ აუცილებელ საჭიროებათ ჯხედ ვთ უცხო კაპიტალის დახმარებით მადნეულობის დამუშავებას.

მხოლოდ უცხო კაპიტალი თუ სპეციალისტების მოწვევა, უნდა იყვეს დამორჩილებული ჩვენს კანონებზე.

მადლობა ღმერთსა, რომ ჩვენ სამი წლის განმავლობაში არსაიდან სესხი არ მიგვიღია. ამ ჩვენი უდიდეს ბრძოლის და საკითხის გადაჭრა იკისრა მხოლოდ ხალხმა, იმან მისი მოვალეობა ბრწყინვალედ შეასრულა.

ჩვენთვის უმთავრესი ბოძი სახალხო განათლების უნდა იქნეს შემდეგი: უპირველესად ყოვლისა ჩვენ უნდა ვასწავლოთ ქვეყნის პატრონს—გლეხს წერაკითხვა, საჭიროა იმათ შევასწავლოთ ანატოლიის გეოგრაფია, ისტორია და ამით, იმათ უნდა შევაძლებინოთ მომავლის განვითარებულ და განათლებულ ხალხის, ქვეყნების შესაფერი წესწყობილების შექმნა. ჩვენ იმათისაგან უნდა შევქმნათ სწავლა-განათლების პატრონი ხალხი, სპეციალისტები და სხვა. ეს ჩვენთვის აუცილებელია.

ყველასათვის აშკარაა, თუ რა ღირებულების ადგილი უჭირავს დღეს განათლებულ ქვეყნებში პრესას. ეს გახლავთ ძალა, რომელიც ხალხს ანვითარებს, აღვიძებს, აძლევს სულიერ საზრდოს, რომლის მეოხებით ხალხი მოყავს განმათავისუფლებელ იდეალებისაკენ. ეს უეჭველად გახლავთ დამოუკიდებელი ძალა, სკოლა, ხელმძღვანელი. ამიტომაა, რომ მთავრობა ამას დიდი ყურადღებით ეპყრობა.

ამის შემდეგ მუსტაფა ქემალ ფაშა გადავიდა საგარეო პოლიტიკის საკითხზე. რომელმაც სასარგებლო შედეგები მოიტანა, ის განაგრძობს; რუსეთთან კეთილ-დამოკიდებულებას შეადგენს საზოგადოდ ჩვენი მთავრობის საგარეო საქმეთა კეთილმდგომარეობის საძირკველი. ყარსის კონფერენციამ და უკრაინის წარმომადგენელი ფრუნზეს და ჩვენს შორის შეკრულ მეგობრულ პირობებმა დაამყარეს ჩვენსა და რუსეთის, უკრაინის, ადერბეიჯანის, ბუხარის, ავღანისტანის, საქართველოს და სომხეთის შორის მეგობრული დამოკიდებულება, რომლის წყალობით დამყარდა და ვითარდება ჩვენში ვაჭრულ ეკონომიური დარგები.

რუსეთთან და საფრანგეთთან დახლოვება, ხელშეკრულობის დადებამ დაამტკიცა სევრის ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების შეუძლებლობა, როგორც მოგეხსენებათ საფრანგეთი გახლავთ ერთ უძლიერეს მონაწილეთაგანი სევრის კონფერენციისა და, დღეს, ჩვენ სიცოცხლის შერჩენისათვის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენ არც კი ვფიქრობთ, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფოს უფლებები შევლახოთ.—ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ უფლებებს, სიცოცხლეს და ქვეყანას ვიცავთ. პასუხისმგებლობა იმ სისხლის ღვრისა, რომელიც გამოიწვია ჩვენს კანონიერ მოთხოვნილებების მიუღებლობამ—ჩვენ არ გვეკუთვნის. ის უფრო სხვებს ეკუთვნის. იმათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს ბრძოლის უნარი. ჩვენ ჯერ არ დავსუსტებულვართ.

ზემოხსენებულ ჩვენს ბუნებრივი უფლებები, რომ გვაგებინოთ ევროპას გავგზავნეთ—საზღვარ გარეთ საგარეო საქმეთა მინისტრი. კონსტანტინოპოლი, რომლის ყურადღება მიიქცია ჩვენმა დიდებულმა ფეიღამბერმა, სადაც უთვალავი ნაშთია და აწარმოებს მხოლოდ ჩვენის წინაპრების გენიისა—ჩვენს საუკეთესო, დაუვიწყარის ქალაქს. იმ ქალაქის მხოვრებლების ხელშეხებლობა შეადგენს ჩვენს მესაკი მილის ეროვნულ აღთქმას. აგრეთვე დაუვიწყარია ჩვენთვის ის ნაწილები, ჩვენი ქვეყნის რომელიც დროებით მოგვშორდნენ.

იმათი შემოერთებაც ჩვენს სურვილის საფუძველს შეადგენს.

ამ ქვეყნის ნამდვილი და კანონიერი პატრონები თურქებია, ესე იგი ჩვენი სურვილი ესეთია.

ამის წინააღმდეგ თურქი ხალხის სურვილისამებრ სასტიკად დასჯილი იქნება. ასეთი იქნება უცხო, მოღალატე და არა ჩვენი ქვეყნის შვილი. ერთი სიტყვით ჩვენ დაუყოვნებლივ და დაუღალავად უნდა ვიაროთ ხალხის გამაბედნიერებელ მიზნისაკენ.

მეჯლისის და ხალხის შეთანხმება უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ ჩვენ უნდა ვიაროთ სიამოვნებით და აღტაცებით ის ტვირთი, რომელიც ხალხისათვის ასატანელია და გამორკვევისაკენ მიზანშეწონილად მივდიყვეს. ჩვენ შევდივართ ახალ წელში წარსულ წლებზე უფრო მხნედ და გამარჯვებულად. ჩვენ მომავლის გასაბედნიერებლად წმინდა იდეალისაკენ მოუსვენებლივ, დაუღალავად მივდივართ.

„სოფლის გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხი და ქალაქის მუშა ხელ-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან და თავიანთ სოლიდარული მოქმედებით თითქოს ჰსცეხს... აძლევენ იმ დოქტრინერებს, რომელნიც დაჟინებით გაიძახიან: სოციალური რევოლუცია მარტო პროლეტარიატმა უნდა მოახდინოსო“.

(პარიზის „საქართველო“.—
1905 წელი).

პარტიაში

— შაბათს აპრილის 8 საღამოს 7 ს. პარტიის მთავარ კლუბში დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშათა მემარცხ. სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის სხდომა. განსახილავი: ბეჭდვითი საქმის მდგომარეობა საქართველოში და უკანასკნელი შტატების შემოკლება, პრო[illegible]ის წარმოებაში. დას[illegible] ლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მიწის სოციალიზაცია დასაწყისი გახდება სოციალური რევოლიუციისა და ამიტომაც ვართ მისი მხურვალე დამცველნი“.

(1904 წ.)

არჩილ ჯორჯაძე.

—

„ჩვენ უარვყოფთ პოლიტიკურ და ეროვნულ ხასიათის რევოლიუციას, თუ მას წინ არ უძღვება სოციალური ხასიათის მოძრაობა“.

(პარიზის „საქართველო“—
1905 წ.

ახალი ამბები

— **მთავრობის სახლის რემონტი.** მთავრობის სახლის (ყოფ. კადეტის კორპუსი) რემონტისთვის, სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ, დამტკიცებულია ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც 8 876,980 მან. თანხას შეიცავს.

— **პასუხისმგებლობა ცრუ დასმენისათვის** იუსტიციის სახალხო კომისარიატმა სახალხო კომისარიატის საბჭოს წარუდგინა დასამტკიცებლად პროექტი ცრუ დასმენის პასუხის მგებლობის შესახებ.

— **გამასწორებელი სახლი № 2.** სახალხო კომისარიატის საბჭომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა გამასწორებელ სახლის № 2 რემონტისთვის.

— **ავადმყოფი ბავშვები.** ტფილისის სახალხო განათლების კომიტეტი ამ ჟამად ახდენს აღრიცხვას იმ ავადმყოფ ბავშვებისას, რომელნიც სახელმწიფო ხარჯზე [illegible] დამდეგ ზაფხულისთვის კოჯორში ან კახეთში გაიგზავნენ.

— **აღმშენებლობის პროფკავშირში.** 10 აპრილს ტფილისში მოწვეული იქმნება ქალაქის აღმშენებელთა კონფერენცია; დელეგატების ასარჩევად სრულიად რუსეთის აღმშენებლობის პროფკავშირთა ყრილობაზე გასაგზავნად, რომელიც შესდგება მოსკოვში.

— **დასასვენებელი სახლი.** მცხეთაში ზურაბოვის ყოფილ აგარაკზე განზრახულია მუშების დასასვენებლად მოეწყოს სახლი, სადაც 80 პროცენტი ადგილი დაეთმობათ ფიზიკურად მომუშავეებს, ხოლო გონებრივად მომ. 20 პროცენტი.

— **ექ. შტრეიხერი.** ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი ექ. შტრეიხერი.

— **ტუსაღთა მუშაობა.** სახალხო კომისარიატის საბჭომ წინადადება მისცა მიწად-მოქმედების კომისარიატს, რომ მან სახელმწიფო მამულებში სამუშაოდ გამოიყენოს ტუსაღები იუსტიციის კომისარიატის თანხმობით.

— **სახალხო ნოტარიუსები.** იუსტიციის კომისარიატის შუამდგომლობა 18 კაცის სახალხო ნოტარიუსის ჩარიცხვა შტატში სახალხო კომ. საბჭომ დააკმაყოფილა იმ პირობით, თუ ეს თანამშრომლები გადაირიცხებიან იუსტიციის კომისარიატის მაგარ შტატებში.

— **განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირის უმუშევართა დღეები** შაბათს, აპრილის 23 და კვირას აპრილის 24 გან. და ხელ. კავშირი აწყობს ტფილისის ყველა თეატრებში, კაფეებში და კინოებში „სალამო-კონცერტ-წარმოდგენებს“ კავშირის უმუშევარ წევრების ფონდის შესაქმნელად.

— **შემოსავლის ბეგარა.** სახელმწიფოს მიერ ყველა შემოსავლიან დაწესებულების ბეგარის გადახდის ვადა გადის ამა წლის 15 აპრილს თვით ბეგარის გადახდა კი უნდა მოხდეს 1 მაისს. შემოსავალს, რომელიც უდრის 9 მილიონ მანეთს ბეგარა არ ედება.

— **ბავშვების [illegible].** ტფილისის სახალხო განათლების გამგეობა შეუდგა ყველა ბავშვთა სახლების ეზოების გასუფთავებას ბავშვთა ბოსტნის გასაკეთებლად თვით ბავშვების დახმარებით, რომელნიც ემორჩილებიან სპეციალისტების ქვეშ დაამუშავებენ ბოსტნებს. მიღებულია ამისთვის საჭირო ინვენტარი. საბოსტნე მუშაობა ძალიან ახალისებს ბავშვებს.

— **ბავშვთა ახალი საავადმყოფო.** ქალაქ ტფილისის სახალხო განათლების გამგეობას განზრახული აქვს დაარსოს ბავშვთა სახლი, სადაც მოთავსებული იქნება ბავშვთა საავადმყოფო.

— **სახალხო ბანკი.** სახალხო ბანკის კლიენტთა საქმის გასაადვილებლად განზრახულია გამოშვებულ იქმნას ბანკისთვის სავალდებულო ფულის ნიშნების ღირება 100 000 მ. ნ., 500,000 მან., 1,000,000 და 5,000 000 მან., რომელიც ყოველ დროს უნდა განაღდებული იყოს.

— **მეცადინეობის შეწყვეტა სკოლებში.** სახ. განათლების კომ. განკარგულების თანახმად ტფ. ყველა შრომის სკოლებში მეცადინეობა შესწყდება 12 აპრილს და განახლდება 25 აპრილს.

— **ტრამვაის ტარიფი.** ტფ. ქალაქის აღმ. სკომმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: შემოიღოს ყველასთვის საერთო გადასახადი ტრამვაის ტარიფი და ყოველგვარი პრივილეგია მოსპობილ იქმნას.

— **საბინაო განყოფილებაში.** ამხ. ფითოევის თხოვნის თანახმად, საბინაო განყოფილების თავმჯდომარეობის მოვალეობიდან ფითოევი განთავისუფლებულია. მის ადგილზე დაინიშნა ამხ. გეიკენი.

— **სახლების გადაწვა.** უკანასკნელ სამი თვის განმავლობის დროს, ტფილისში სახლების გადაწვას ჰქონდა ადგილი 101 სახლის, მათ შორის 3 საავადმყოფო იყო.

— **კანონ-პროექტი ბანდიტიზმის წინააღმდეგ.** იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებული კანონმდებლობითი განყოფილებამ გამოიმუშავა კანონ-პროექტი ბანდიტიზმის წინააღმდეგ. პროექტი წარედგინა იუსტიციის კომისარიატს.

— **წყალსადენი.** ავჭალის სადგურზე წყალსადენის ერთ-ერთი მილი გასკდა და დაზიანდა ორთქლის კოლექტორი, რის გამო 3 აპრილს წყალი მცხოვრებთ რეგულიარულად ვერ მიაწოდეს. 4 აპრილს წყალსადენი შეკეთებულ იქმნა და წყალმა ყველგან მწყობრად დაიწყო დენა.

— **საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.** გერმანიის სავაჭრო განყოფილებამ „Kayksus Yeinproduktion uo6 Yertrieb gessellchaft" საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტს შეატყობინა, რომ მან 3 აპრილიდან, მთელი თვის განმავლობაში, გადასწყვიტა გაყიდულ ღვინის მთელი შემოსავლიდან საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ გადასდოს 5 პროც.

— **კანონ-პროექტი მემკვიდრეობის შესახებ.** 1918 წელს საბჭოთა რუსეთში გაუქმებულ იყო კანონი მემკვიდრეობის შესახებ. საქართველოში მემკვიდრეთა უფლებების დაცვა სწარმოებს იმ კანონით, რომელიც იყო რევოლუციამდე. ამის შესახებ სპეციალურად არ ყოფილა გამოცემული კანონი. იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამ ჟამად ამუშავებს საინტერესო ახალ კანონ-პროექტს მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც გამოწვეულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო.

— **საქონლის გაცვლა.** მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა მოსკოვში 8 000 ვედრო ღვინო გაუგზავნა სამეურნეო იარაღებზე და ხელსაწყობებზე გადასაცვლელად.

— **ბოტანიკური ბაღი.** ბოტანიკურ ბაღში ტუნელიდან გასვლა ღირს 5000 მან.

— **ტფილისის ბირჟაზე.** 5 აპრილს ტფილისის ბირჟაზე შემდეგი ფასები იყო: ოსმალეთის ოქროს ლირა—(ათას მანეთობით)—835, ოსმალეთის ლირა (ბანკნოტი)—180, იტალიის ლირა (ბანკნოტი)—13.

— **მონადირე ძაღლების გამოფენა.** საქართველოს მონადირეთა კავშირის საბჭომ წინადადებით მიმართა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რომ მან გაიღოს რამოდენიმე თანხა 7—9 აპრილს მონადირეთა ძაღლების გამოფენის საპრიზოებისათვის.

— **სახალხო სასამართლოების ორგანიზაცია.** იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულმა სახალხო სასამართლოს ორგანიზაციები მთელ რესპუბლიკაში დაამთავრა.

— **სასწრაფო სამედიცინო დახმარება.** სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურმა გასულ თვის განმავლობაში სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა 169 ავადმყოფს.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება ტერენტი გრანელის ლექსების კრებული „სულიდან საფლავები" წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 15 ათასი მანეთი.

სამხატვრო ქრონიკა

— **ვასილ ბარნოვას და ზ. ჭიჭინაძის პორტრეტები.** მხატვარმა მოსე თოიძემ დახატა ვასილ ბარნოვის და ზ. ჭიჭინაძის პორტრეტები.

— **ი. ეკალაძის რომანი.** ია ეკალაძემ დასწერა ახალი რომანი „ცხოვრების ტალღები" ქართველ ინტელიგენტთა ცხოვრებიდან.

— **ვაჟა-ფშაველას აკადემიური გამოცემა.** სალიტერატურო სექცია ახლო მომავალში გამოსცემს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებს 6 ტომად.

— **ოპერის სეზონი.** სახელმწიფო საოპერო სეზონი [illegible] დაიხურა. უახლოეს დროში ოპერის დადგმა განახლებული იქნება. გამოცხადდება ოპერის ახალი რეპერტუარი.

დღესასწაული ხარფუხში

კვირას, აპრილის 2-ს შესრულდა ათი წლისთავი, რაც არსებობს განათლების საზოგადოების სამხატვრო სახელოსნო სკოლა.

ეს სკოლა ეხლა განათლების საზოგადოებას აღარ ეკუთვნის. განათლების საზოგადოება „მიზეზისა გასხვისა და სხვისა" თითქმის დაიქსაქსა, გაუნა. ხსენებულმა საზოგადოებამ გამოჰყო სამხატვრო ნაწილი, რომელიც ამ ექვსი წლის წინად მოთავსდა ხარფუხში, კიპრიზოვის მიერ შეწირულ შენობაში.

ამ სასწავლებლის სულის ჩამდგმელი არის პატივცემული მარიამ ვახტანგის ასული მაჩაბლისა. ეს ერთად-ერთი მანდილოსანია, რომლის თავგანწირვას თან ახლავს შემოქმედებაც და ამიტომ არის რომ ამ სასწავლებელმა ყველას ყურადღება მიიქცია თავისი გემოვნებით, ორიგინალობით, ნაყოფიერობით.

დილის 11 საათზე, ამ სასწავლებლის ათი წლის დაარსების დღესასწაულს, შეკრიბა დიდძალი საზოგადოება:

ოთახებში გამოფენილი იყო მხატვარ სტრაუმეს ჩვენებით ძველ ქართულ ყაიდაზე მოწაფეთა ნახელავი: ბაბთები, კაპარჭები, საურები, აშიები, აზლუდი, ტანთსაცმელი, ხალიჩები და სხვ. ყოველი ნამუშევარი შესრულებულია მოწიწებით და დიდის სიყვარულით.

ერთ ოთახში, სადაც სურათები იყო გამოფენილი, მაგიდას შემოსხდომოდნენ განათლების გამგეობის წევრნი: ან. თუმანიშვილ-წერეთლისა, ანა თიკანაძისა, იაკობ ზედგინიძე, ნად. შალამბერიძისა, კეკე მესხი, სოფ. კალანდარაშვილი, მარიამ ვახტანგის ასული და მასწავლებელნი, ლ. დარბაისელი, ა. ღვინიაშვილი და სხვ.

ანნა ღვინიაშვილი წრფელის ტემპერამენტით კითხულობს ვრცელ სიტყვას, ისტორიულ ანალიზით ასურათებს სკოლის ვითარებას, შემდგომ გადადის მარიამ მაჩაბლის პიროვნებაზე და გრძნობიერ სიტყვებით ჰმოსავს მის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

მაგრამ საინტერესო იყო მოწაფეთა ცრემლიანი მილოცვები: ბარისაშვილის, ბერძნიშვილის ხაბაზიშვილის (მიართვა ალბომი), მაცაბერიძის და სხვ.

ლექსი წაიკითხა სევ. ჭიჭინაძემ,

მშვენიერი სიტყვა სთქვა ალ. წერეთელმა.

მოწაფეთა სიტყვები მიმართული იყო სკოლის გამგის მარიამ მაჩაბლის მიმართ, სადაც გატარებული იყო ის აზრი, რომ თითქმის ყველა ეს მოწაფენი უსწავლელები, სოფლელები და ობლები იყვნენ, მაგრამ მარიამ მაჩაბლის დედობრივმა მზრუნველობამ დღეს ისინი გზაზე დააყენა და აზიარა კულტურას.

იყო აგრეთვე მილოცვის დეპეშები.

დასასრულ მადლობას უხდის მაჩაბლისა ყველას და ამბობს: მე რაც შემეძლო ის შევქმენ, დავიღალე, და ეხლა ჩემს საყვარელ საქმეს, იმედია ჩემი მოწაფენი, (რომელთა შორის ეხლა ზოგი უკვე მასწავლებელიცაა), გაუფრთხილდებიან, გააფართოვებენ და ქართველურის გულგრილობით არ ჩააქრობენ ჩვენს ანთებულ ლამპარსო.

მილოცვების შემდეგ მოწაფე ქელდიშვილი კითხულობს მარიამ ჯანიაშვილის მიერ დაწერილ რეფერატს ალ. ყაზბეგზე, რომელშიაც საინტერესო და ორიგინალური ხაზები იყო.

რეფერატის შემდეგ წარმოდგენილი იქმნა: „დილა ქორწილის შემდეგ" კარგები იყვნენ: ელისბარ შათირიშვილი, ახალგაზრდა ლოტბარი მალალაშვილი, გალუსტას ალმასრულებელი (გვარი ვერ გავიგეთ) მოწაფენი: გურგენიძე და ბერძნიშვილი.

მართალია პიესამ მხიარულად ჩაიარა, მაგრამ საჭირო იყო დღესასწაულის შესაფერი პროგრამის შედგენა. მართალია ბერძნიშვილს აქვს სასცენო ნიჭი, მისი გამოთქმა ვერცხლის ხმას გვაგონებს კილო ქართული აქვს და არც სიტყვებს ჰყლაპავს (რაც უმთავრესია მსახიობისთვის) მაგრამ მაინც ამ როლში ცოტა შეუფერებელი გვეჩვენა...

დასასრულ მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამდენიმე ქართული ჰანგი.

ამ სასწავლებელს დიდი მომავალი აქვს. იმის გარდა, რომ აქ ქალები მწიგნობრობას იძენენ, სწავლობენ აგრეთვე ჰქსოვას, ჰარგვას, ერთი სიტყვით ყოველგვარ მუშაობას და ეცნობიან საოჯახო და სამეურნეო საქმეს, რაც პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსადეგი და ერთი პირველია.

ვაშა, ნაამაგდარ დედას!

ვაშა მარიამ ვახტანგის ასულს!

ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ კვლავ დაუშრეტელ ენერგიით განაგრძოს თავის მადლიანი მოღვაწეობა და იმედია გალიმებული საქართველო არ დაივიწყებს ერთ პიონერ მანდილოსანს, რომელმაც თავისი პირადი ბედნიერება საერთო საქმეს შესწირა.

ფირუზი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 6.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახელმწიფო თეატრების შენობათა ნაციონალიზაციის შესახებ:

1. სასცენო ხელოვნების განვითარებისა და აყვავებისათვის აღიარებულ იქნეს ქ. ტფილისში ნაციონალიზაცია:

ა) ყოფილი არტისტიული საზოგადოების შენობისა, ამ ჟამად რუსთაველის თეატრისა, სავაჭრო შენობის ყოველი თვალით, თავისი სათეატრო ხელსაწყოთი, მოწყობილებით, ინვენტარით, ავეჯეულობით, გარდერობით, დეკორაციებით, ელექტრო-სადგურით და ყველა სხვა კუთვნილებით.

ბ) სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობისა, აგრეთვე ყოველგვარი მოწყობილობით, ელექტრო-სადგურით და ბაღჩებით.

გ) მცირე თეატრის შენობისა მაღაზიებით, სავაჭრო შენობის ყოველი თვალით და სხვა სადგომებით.

2. მთელი ეს შენობა მისი კუთვნილებითურთ გადაცემულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობასა და სარგებლობისათვის, ჩამოერთვას რა იგი ყველა სხვა პირსა და უწყებას ვის მფლობელობასა და სარგებლობაშიაც იგი არის.

3 დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე მ. ოკუჯავა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1922 წ. აპრილს 6.
ტფილისი—სასახლე.

დიმიტრი ყიფიანი

(დასასრული)

ამ ამბავმა ელვასავით დაირბინა ქართველ ერში და ამაზედ ყველა ქართველი შეწუხდა. მოხდა მალე იმისი განკარგულებაც, რომ ერთ დღეს დიმ. ყიფიანს, სოფ. ქვემოხეთიდამ უნდა ჩამოევლო ცხეთამდის და აქედამ ეს უნდა გამგზავრებულიყო ვლადიკავკასიის გზით სტავროპოლის კავკაზში.

მალე შევიტყეთ ისიც, თუ დ. ყიფიანი რომელ დღეს და რა დროს ჩამოივლიდა ცხეთაში. ამ დღეს თბილისიდამ შიშით ვერავინ წავიდა ცხეთაში, ამაზედ ან. ფურცელაძის სახლში კრება იყო და ლაპარაკი დ. ყიფიანის ცხეთაში შეხვედრის გამო. იქ წასვლას ყველა მოერიდა. ისევ მე გავბედე წასვლა ჩემის ქართულის წიგნებით. დანიშნულ დღეს წავედი, წავიღე თან ქართული წიგნები და ავედი რკ. გზით ცხეთაში, სტანციაზედ თან ავიტანე ქართული წიგნები დასაყიდათ, სტანციაზედ ქართული წიგნები გავშალე და ცოტაც გავყიდე. რამდენიმე ხნის შემდეგ რკ. გზაც მოვიდა და ვაგონიდამ გადმოვიდა დიმ. ყიფიანი და თან ორი ჟანდარმი გადმოჰყვა, რომელნიც მას აცილებდნენ მგზავრობაში.

ამ დროს მე ვიყავ გაჩერებული ცხეთის საფოსტო სტანციის წინაშე დარბაზის კარებში, იქ გიახლათ დიმ. ყიფიანი, თან მოჰყვა ორი ჟანდარმი და ყველა ესენი შევიდნენ ფოსტის დარბაზში. მეც მალე შევედი დარბაზში, დიმ. ყიფიანს წარუდექი წინ, მე მივართვი ჩემგან მიერ წაღებული იმ დროის ყველა ქართველი წიგნების თითო ცალი და თან გადავეცი სალამი, მოკითხვა და დიდი თანაგრძნობა ქართველი მწერლებისა და მთელის ტფილისის ქართველის ერის. დიმ. ყიფიანმა წიგნები გამომართო, დიდი მადლობა მითხრა და თან ჩემი მისამართიც გამომართვა დამავალა ასე:

„დიდი მადლობა გადაეცით ილია ჭავჭავაძეს, ანტონ ფურცელაძეს და სხვათაც, რომელთაც მე ვახსომვარ. მე ვეცდები, ისევ დავბრუნდები, მერე მე სულ თბილისში ვცხოვრებ და თქვენთან ერთად ქართულს სემინარიაში დავიწყებ შრომას. იყავით კარგათ და მხნედ. დიდი მადლობელი ვარ ყველასი. ამ სიტყვებით გამომეთხოვა დიმიტრი ყიფიანი.

ამ დროს, იქ შემოვიდა აწინდელი მხატვარი გაბაშვილი, რომელიც აგრეთვე რუსეთში მიემგზავრებოდა და სადაც დ. ყიფიანთან ერთად უნდა ემგზავრა ვლადიკავკაზამდის. დ. ყიფიანს გაბაშვილი გაეცნო, რაც ერთობ ესიამოვნა დ. ყიფიანს, ისიც მახსოვს კარგად, რომ გაბაშვილის ვინაობის ცნობებიც გამოჰკითხა და მის შემდეგ კარეტაც მზათ იყო. მგზავრები ჩასხდნენ კარეტაში, დ. ყიფიანს ორი ჟანდარმი მოუჯდა გვერდს და ამგვარად გაემართა ეტლი ვლადიკავკაზის გზას.

ამ დღეს. დ. ყიფიანს ცხეთაში ჩამოჰყვნენ თავისი შვილები, სხვათა შორის მათში გახლდათ ნინო ყიფიანისა მეუღლე კოტე ყიფიანისა, რომელიც დღესაც ცოცხალია.

თფილისიდამ დ. ყიფიანის შესახვედრად ამოსულიყო ერთად ერთი იმ დროის ნოტარიუსი მლიბროვი, ამის მეტი სხვა არავინ, იმ დღეს სადამომდის ცხეთაში დავყავი და კონსტ. ყიფიანთან ვიყავით ერთად, სადაც ვლაპარაკობდით დ. ყიფიანის მგზავრობის და სასჯელის შესახებ.

ამის მცირე ხნის შემდეგ, ცნობა მოგვივიდა მის შესახებ, თუ დიმ. ყიფიანი როგორ ჩავიდა თავის ბინაზე და ან იგი სად დასახლდა იქ.

რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოს ეგზარხოსიც გადაყვანილ იქნა ყაზანში, ამის შემდეგ გავლო რამდენიმე ხანმა და დონდუკოვ კორსაკოვის და ეგზარხოსის მეთაურობით სტავროპოლში, ერთ ღამეს მოკლულ იქმნა დიმ. ყიფიანი. ეს ამბავი, რომ ნამდვილი არის და მართალი, რომ ამ პირების მეთაურობით იქმნა იგი მოკლული.

ამაზე ერთ დღეს, იმ დროის ქართული სასულიერო გაზეთის „მწყემსის" რედაქტორს, დეკანოზ დავით ღამბაშიძეს და მიხეილ საბინინს ლაპარაკი ქონდათ და მათ სხვა და სხვა ცნობებით დაასაბუთეს, რომ დიმ. ყიფიანი კორსაკოვმა და ეგზარხოსმა მოაკვლევინესო ამ ლაპარაკის დამსწრე ვიყავი მეც. დეკანოზმა სთქვა, რომ დ. ყიფიანის მოკვლა მიტომ მოაწყვეს მათ, რადგანაც სტავროპოლშიაც ეპრძოდა დონდუკოვს, ეგზარხოსსა და უმაღლეს მთავრობას და თვით იმპერატორ ალექსანდრე მესამესაც აძლევდა ცნობებს, რომ ქართველი ერი არ არის მორჩილი ერი და არც თქვენი ორგულნი არიანო, რასაც დონდუკოვი და ეგზარხოსი ლა
რაკობენ იგი სულ ტყუილი არის
ქართველი ერის მტრობაო.

დ. ყიფიანის [illegible] ამბავმა მთ
ლი ქართველი ერი და ფიქრში შეა
[illegible]
ლის გადაწყვეტეს ის გარემოება, რო
დ. ყიფიანი უნდა მოვასვენოთ ტფილ
სში და უნდა დავკრძალოთ მამა დავ
თის ეკლესიაში, რომ იგი ტფილი
მაღლიდან დაჰყურებდესო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ კვი
დღეს დ. ყიფიანის ცხედარი მოასვენ
და რკინის გზიდან ხელით წამოასვენ
და ქართველებს სურდათ, რომ მაშინ
დელს გოლოვინის, ანუ აწინდელ რუ
თაველის ქუჩაზე უნდა გაეტარებინ
ტფილისის გამგეობის წინ მცირე პან
შვიდს გადაიხდიდნენ და მის მერე ი
დან წაასვენებდნენ პეტრე დიდის
ჩით მამა დავითში და იქ დაასაფლ
ვებდნენ.

გასვენების დროს, აწინდელ ალექ
ნდრეს ბაღის გვერდით, რუსთაველ
ქუჩაზე, ჯარის კაცები და პოლიციელ
ბი იდგნენ და სასახლის წინ მისი გ
ტარება არ იქნებაო. ამ გარემოებ
დიდი აურ-ზაური გამოიწვია, ბოლ
საქმე იქამდის მივიდა, რომ ქართველ
ერმა ძალა იხმარა და ამით მოიწად
ნეს მიცვალებულის გატარება. ამ დრ
პოლიციის მოხელე ალექსანდრე ეპი
კოპოსს ეცა და ასეთი სიტყვა უთხრა.

— თქვენო უსამღვდელოესობავ, თქ
ამ გზათ გამგზავრებას თავი გაანებ
და სხვა გზით წადით, მაშინ ხალხ
თქვენ გამოგყვებათ.

ალექსანდრე ეპისკოპოსმა ასეთი
სუხი მისცა ხმა მაღლა:

— მე მოწვეული ვარ სასულიერო მ
ცემით და მე ვალდებული ვარ, რომ
ითაც ქართველები წავლენ, მეც იმ ქ
ჩაზე უნდა გავყვე.

ამის შემდეგ მთელი ქართველი ე
დაირაზმა მათ წინააღმდეგ, ამ დარა
მულ ხალხს წინ უდგნენ ანტონ ფუ
ცელაძე, მათე კერესელიძე და ილ
ჭავჭავაძე. მცირე ხნის შემდეგ და
ყვირილი შეიქნა, ილია ჭავჭავაძე დ
რაზმულ ხალხს ჩამოაცალეს. ამ დრ
ნიკო დიასამიძემ ხმალი ამოიღო,
მიჰყვა ჩიტო კალატოზიშვილი და სხ
ნიც მრავალნი.

ამათ უკან იდგნენ ქართველი გენ
ლები, რომელთაც თავს იდვეს მთავ
ბის. პირდაპირ ბრძოლა და თავის გ
ზრახვის უსათუოდ შესრულება. ე
შესძლეს მათ და დიდის წინააღმდე
ბის და ბრძოლის შემდეგ მოახერხ
დასძლიეს პოლიცია და ჯარი და
ყიფიანის ცხედარი აღნიშნულ გზ
გატარეს, მერე პოლიცია და ჯ
ახლოს აღარ მიკარებია.

ვ.

—

მინაწერი: რექტორის მკვლელი ი
ლადიაშვილი სამხედრო სამართა
მისცეს. მის საქმეს იცავდა რუსის
ქილი ტურკევიჩი. ტფილისის რუ
ხულიგანური სამღვდელოება, ეგზარხ
და სხვანიც სწყევლიდნენ ამაზედ ტ
კევიჩს, რომ მან რათ იკისრა ლ
შვილის საქმის მფარველობაო.

ესენი ითხოვდნენ ლადიაშვილის
თუოდ დახრჩობას და მთავრობაზ
ლიც მათს მხარეს იჭერდა, ამათ მ
მთელი ტფილისის ხალხის სიმპ
ლადიაშვილს იცავდა, ასე იცა
ლადიაშვილს არამც თუ მარტო
თველები, არამედ სომხები, რუსებ
სხვანიც. თვით ერთმა რუსის ჟ
ოფიცერმა დაასაბუთა მოწმობით
ლადიაშვილი ჩემს შვილებს ასწ
და ის ისეთი კეთილი თვისების
იანია, რომ მისგან კაცის კი არა
ქათმის დაკვლაც ეზარებოდა. მ
ლადიაშვილი ასცდა დახრჩობას და
მიუსაჯეს ციმბირი და მალე გა
რეს კიდეც. ციმბირში ჩავიდა ლ
შვილი, იქ რამდენსამე ხანს დაჰყ
მერე იქიდამ იგი გაიქცა ჯერ
ნიაში და მის მერე ამერიკაში.
კიდამ რამდენიმეჯერ მისი წერი
მოვიდა, ერთ დროს იგი ელისონი
ხანაში მუშაობდა. ერთხელ იგი ა
კაში ქართველ კაცს მეზღვაურს
ვაძესაც შეხვდეროდა. 20 წლ
მეტია მისი ცნობები აღარა მოსდ

ზ. ჭიჭინ

რედაქტორი—სარედაქციო კოლ
გამომცემელი— მთავარი კომ

დაიკარგა პირადობის მო
ბა სურათით
მელი რკინის გზის სამმართვე
№ 52,714 ლავრენტი ხიმონიძ
ჩალაძემ ჩითვალოს გაუქმებულ